

# მწარე ფიქრები



# ახალი ლექსები

(1893-1896)

დუბუ მებრელისა.

ქვლავ ჩემი გული შეიპყრო სევდამ,  
ქვლავ შხამ-ნალველით ამევსო გული  
და კვლავ ვსტირი მე ცხარე ცრემლითა,  
მწარე ფიქრებით გარემოცული.

დუბუ მებრელი.



**წიგნსაცავი**

ქუთაისი.  
სტამბა ივ. ძილადისა და ი. ხელადისა.  
1897.

188 სუ

238

84601

78

372

Handwritten signature or scribble in the top right corner.

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 4 Ноября 1896 года.



## მწარე ფიქრები.



ვლავ ჩემი სული შეიპყრო სევდამ,  
ქვლავ შხამ-ნაღველით ამევსო გული  
და კვლავ ვსტირი მე ცხარე! ცრემლითა,  
მწარე ფიქრებით გარემოცული.

ჩემს გვერდითა-კი, ცალს კედელს იქით,  
შორტეებიანოს ისმის გრიალი;  
ისმის სიმღერა ქალთა და ვაჟთა,  
ისმის სიცილი, ცეკვა, ხრილი...

რა ახარებს მათ, ან მე რათ ვსწუხვარ?  
ნუ თუ იქ ყველა ბედნიერია  
და მარტო მე-კი უბედური ვარ,  
მარად ცრემლის ღვრა ჩემი ხვედრია?!

მერე რითი ვარ მე უბედური  
 და ისინი-კი ბედნიერები?  
 ბანა ჩვენ ყველა ერთ დროს არ ვცხოვრებთ,  
 მართის ქვეყნისა არ ვართ შვილები?!..

მაშ, რით ვირჩევით? თუ მე ავად ვარ  
 და დღეს, თუ ხვალე სიკვდილი მგლის,  
 ბანა ისინი უკვდავებია,  
 შევლას ეგვევ ბედი არ ელის?

და მერეც ჩემი ავადმყოფობა  
 ბანა შედეგი არ არის ჩემის  
 მხამ-ნალვლით სავესე მწარე სიცოცხლის,  
 უიმედობის, სულის დაცემის?

აბა შესრულდეს, რაც სულს სწყურია,  
 რის ნატვრასაცა ვიკლავ მე გულში,  
 თუ ვიქნე ავად, თუ სიხარულით  
 არ ჩავერიო მეც მათს ფერხულში!..

მაგრამ იქნება მათ საწადელი  
 აღარა აქვთ-რა, არას ნატრობენ;  
 იქნება, ყველა მათი სურვილი  
 აღსრულებიათ და, ჰა, ჰხარობენ...

მეც ამას ვწუხვარ, ამასა ვსტირი,  
 მს მიზხამავს სულს და მიკლავს გულსა,  
 მს მიკიდებს ცეცხლს ჯოჯოხეთისას  
 და წყლულზე კიდევ მიმატებს წყლულსა,

რომ მაშინ, როცა სიკვდილის პირად  
 მიმდგარა ჩვენი დედა-მშობელი  
 და „მიშველეთ“-ო გვემუდარება,  
 ცრემლიან თვალთა ჩვენკენ მპყრობელი;

როდესაც ჩვენი უნცროსი ძმები  
 საზარ წყვდიადში იმყოფებიან,  
 როცა მათ სცივათ, ჰშიათ, სწყურიათ,  
 თუმც კირის ოფლში იწურებიან,

ჩვენ, თუ-კი ჩვენი კუჭი გავიძღეთ,  
 სწრაფ გვაფიწყდება სუყველაფერი  
 და ვცეკვავთ, ვმღერით, თითქო არ გვქონდეს  
 მეტი საჯავრო აღარაფერი.

თითქო ჩვენ ვიყოთ მთვარისა მკვიდრნი  
 და არა ჩვენის საქართველოსი,  
 მრთ დროს ძლიერის, სახელ-განთქმულის,  
 ღღეს-კი უძღლურის და საბრალოსი!..

## კ ა ლ ა მ ს .



სევ შენ უნდა მოგმართო,  
ჩემო ძვირფასო კალამო,  
რომ გულს, აღესებულს ნაღველით,  
მცირედიც არის ვაამო!

სხვამ ყველამ, ვისაც მივმართე,  
მასვა შხამი და სამსალა;  
არვინ ღამინდო... სატრფომაც  
მიმტყუნა, სხვაში გამცვალა.

მხოლოდ შენ დამრჩი, კალამო,  
მეც სულს შენით-ღა ვიბრუნებ  
ღა გვედრი, სანამ ცოცხალ ვარ,  
შენ მაინც ნულარ მიმტყუნებ!..



## 5. ბარათაფშის.

(მისის ნაშთის თბილისში გადმოსვენების გამო).



ოდესაც ერი, თვის აწმყოთი გამწარებული;  
იგლოვდა წარსულს, გულ-დამწვარი, შეწუწ-  
ხებული  
და ვით ცხერის ფარა, უპატრონოდ. დატოპ-  
ვებული;

მჩეხებოდა კლდესა და ღრეს, გზა დაბნეული;  
მამულის შვილნი-კი „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“,  
ზაიძახოდენ: „მოგვეცაო დღეს შევება-ლხენა“  
და არ ნაღვლობდენ არც სამშობლოს აოხრებულსა;  
არც ერს მწუხარეს, ცხარე-კრემლით ატირებულსა;  
მაშინ გაისმა შენი მწარე კვნესა, მგოსანო,  
სულით უმანკო, გულით წრფელო, პატიოსანო;  
ზაისმა შენი სევდიანი ოხვრა, ჩივილი,  
ზრძნობით აღვისილი, ნაღვლიანი მოთქმა-ტირილი.

\*

შენ დასტიროდი „ბედსა ჭართლისას“,  
 ბულ გატეხილის მეფის რჩეულსა;

შენ დასტიროდი „ტაძარსა წმიდას,  
 უღაბნოდ მღვარსა გაუქმებულსა“.

\*

შენ დასტიროდი „ცხოვრებას ფუქსა,  
 ამაოებას წუთის სოფლისა“,

„სუმბულს მოკლებულს, სამშობლოს გულსა“  
 და „მარტოობას სულის ობლისა!“

\*

შენ დასტიროდი ყველა ამას და ბევრს სხვასაცა,  
 მაგრამ ყრუ იყო აქ ქვეყანა და იქ მალლა ცა!  
 და შენ ობოლი ობლად მოკვდი უცხო მხარეში,  
 და შენივ კვნესა ჩაგყვა მხოლოდ ცივ სამარეში!  
 შენ მოკვდი, მაგრამ „გზა უვალი, შენგან თელილი“,  
 საშვილიშვილო მოსაგონრად არის შთენილი.  
 და, ჰა, დადგა დრო, საამო დრო, როცა ქართველსა  
 მსმის ტანჯულის შენი სულის ოხვრა და კვნესა;  
 როცა იღვიძებს და მოძრაობს შენი სამშობლო,  
 უზრუნველობას ძველებურსა ეღება ბოლო!  
 და მთელი ერი გაუმსჭვალავს დღეს გრძნობას ერთსა  
 და მოისწრაფვის თაყვანი სცეს შენ ძვირფას ფერფლსა  
 და დაგამკვიდროს საყვარელსა შენსა მამულში,  
 რომ მარად მასთან იქმნე ჭირში და სიხარულში!

რომ ვითა სულით, სხეულითაც მას შეუერთდეს  
 და, მასთან მყოფი, მის ტკივილებს უსაღბუნებდეს!

\*

და მეც საერთო მისწრაფებითა  
 ბატაცებული, ვიღებ კალამსა  
 და, გამსკვალული წმინდა გრძნობითა,  
 მრის დიდებავ, გიძღვნი სალამსა.

\*

და ვვედრი ზეცას, რომ საქართველო  
 ძველავ აღეზარდოს შენებრ მგოსანი,  
 ნიჭით აღსავსე, გონებით სრული,  
 სულით უმანკო, პატიოსანი!..

\*  
\*  
\*

ოდის, მოშხუის, მოღელავს  
 მდინარე აღიდებული:  
 ასკდება თავის ნაპირებს  
 და ებრძვის გაცხარებული!

ცდილობს, მიღეწოს კლდეები,  
 შრთა თავისუფლად გაშალოს;  
 ცდილობს დასტოვოს ძველი გზა  
 და ახალი გზა გაკვალოს!

მაგრამ ამაოდ უვლის ცდა:  
 საბრალო დამარცხებული  
 რჩება ძველს კალაპოტშივე  
 და მიდის აღქაფებული!..

მოდის, მოყვირის, მოშფოთავს  
 ჭაბუკი აღელვებული  
 და გარს-შემორტყმულ პირობებს  
 მბრძვის თავ-დავიწყებული:

ცდილობს, დასძლიოს ისინი,  
 მრთა თავისუფლად გაშალოს;  
 ცდილობს, გზა თავის ცხოვრების  
 თავის გემოზე გაკვალოს.

მაგრამ ბევრს მალე ელევა  
 ჭალა და დასუსტებული  
 ემორჩილება თავის ხვედრს,  
 ღამცხრალი, დამშვიდებული;

მხოლოდ რჩეულნი გმირთ-გმირნი,  
 როდეს არ დასცხრებიან:  
 ან სძლევენ გარემოებას  
 და ან ზედ შეაკვდებიან!..

## მ უ ს ი კ ა.



მიყვარს მუსიკა, მაგრამ არა  
    ღამატკობელი,  
წყნარი და ნელი, ფიქრთ გამბნევი,  
    ძილის მომგვრელი.

მიყვარს მუსიკა, მაგრამ არა  
    სამხიარულო  
საცეკვარი და გასართობი,  
    შაზრ-უსულო!

მიყვარს მუსიკა. ამძგერი,  
    ამღელვებელი,  
აღმვსებელი სინამაცით,  
    ბამბნევებელი.

მიყვარს მუსიკა, მიყუჩებულ  
    ტკივილთ აღმძვრელი,  
ღამაფიქვრელი დაღუმებულ,  
    ბრძნობათ ამშლელი!

## მ რ ი დ ე დ ა .



რი დედა მყავს ძვირფასი,  
მორივე მიყვარს გულითა;  
შქონდეს სიცოცხლე ათასი,  
მათ ვუძღვნი სიხარულითა!

ერთი მათგანი ქვრივია,  
უდროვოთ დაბერებული;  
საკოდავს მალე ეწვია  
ტანჯვა-ვაება წყევლი.

მცის წლის ძლივს იქმნებოდა,  
როცა მოუკვდა მას ქმარი  
და მე-ლა დავრჩი მხოლოდა  
ნუგეშათ ძუძუ-მწოვარი.

ძება მას, ღირსეულადა  
ჩემდამი თვისი მან ვალი,  
ვით დედამ, შეასრულა და  
აწ ელის შევებას მაშვრალი!..

მეორე... მაგრამ მის ამბავს,  
 სამწუხაროს და ერთობ გრძელს,  
 ვერ გეტყვით, რადგან დრო არ მაქვს  
 და არც ადგილი მიწყობს ხელს.

შიტყვი მხოლოდ, რომ წარსულსა  
 მარად იგონებს საბრალო  
 და სტირის, სტირის... ჩაგრულსა—  
 მოხედე, ღმერთო მალალო!

ორი დედა მყავს ძვირფასი,  
 ორივე მიყვარს გულითა,  
 მქონდეს სიცოცხლე ათასი,  
 მათ ვუძღვნი სიხარულითა!..

## გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ა!



აზაფხულია! ბუნებამ  
ბადიძრო თეთრი სუდარი  
ღა შეიმოსა მწვანითა  
მთა-ბარი, ტყე და ბუჩქნარი!

მზე გამობრწყინდა, კაშკაშებს  
ცა ლაფვარდადა ქცეული  
ღა დედა-მიწაც პატარძალს  
ბავს, ტურფად აყვავებული!

ბაზაფხულია!.. ტკბილი დრო  
ბუნების მკვდრეთით აღდგომის,  
ღრო მოძრაობის, სიკოცხლის,  
ღრო სიყვარულის და შრომის!

სულიერი და უსულო  
შველა სიკოცხლეს ესწრაფვის,  
შველა მოძრაობს, ყველასა  
ბული სიამით ემსჭვალვის!

მუშაკნო, თქვენ-კი რას შვრებით,  
 დაუწყეთ თესვა ყანასა?  
 ხომ იცით „პურსა არსების“  
 თქვენ აძლევთ მთელ ქვეყანასა.

წადით, ბედკრულნო, იშრომეთ!  
 წადით და გქონდესთ იმედო:  
 ბაზაფხულდება თქვენთვისა  
 და გაგზლიმებსთ თქვენც ბედი!..

### ს ი მ ლ მ რ ა .



მეფრია ტანჯვას სული და გული,  
 ჯოჯოხეთის ცეკხლში დამწვარ-დაგული;  
 შევეჩვიე ქირს, ვაებას მარადის,  
 შევეჩვიე და აწ მიჩანს არად ის!  
 ხან ვღვრი ცრემლსა, ხან ვიცინი და ვმღერი,  
 მიღებ ჩანგურს და ზედ ასე დავმღერი:  
 „ღე, ვიტანჯო, ვით აქამდის, აწიცა,  
 ამაზე მეტს რაღას მიზამს აწი ცა?  
 მსდენ ტანჯვამ თუ ბავში ვერ დამძალა,  
 შეეკაცს დამძლევს აწ რა რისხვა და ძალა?  
 შერა, ბედო. ვერ მძლევ, იგრძენ, იწამე,  
 მარტო ერთი დამძლევს შავი მიწა მე!..“



იყვარს მისი მე კისკისი,  
რომელშიაც იხატება  
შმანკო და წრფელი სულის  
შმაწვილური აღტაცება;

მაგრამ კიდევ უფრო მიყვარს,  
როცა ვხედავ დაღონებულს  
და ვკითხულობ მის სახეზე  
ფიქრს, მის გულში დაგუბებულს!

რადგან მჯერა, რომ ის ფიქრი  
ნაყოფია უკმარობის,  
ტანჯულობა და ჩაგრულთადმი  
სიბრალულის, თანაგრძობის.

და მოვა დრო, როცა იგი  
ბაიზრდება, გადიდდება  
და, გულში ვერ დატეული,  
ნიაღვარებრ გადმოსკდება,

და არსებას, თითქო მარტო  
სიამისთვის გაჰენილსა,  
ზაიტაცებს სამოქმედოდ,  
ნამდვილ გმირად გარდაქმნილსა!..

საქმის  
372

ს ა ტ რ ფ ო ლ ს.



იცი, გიყვარვარ,  
იცი, მიყვარხარ—

და მეტი, სატრფოვ, ჩვენ რალა გვინდა?  
ზიუოთ, ვიხაროთ  
და ვინეტაროთ,  
ზხარდოთ ჩვენს გულში ეს გრძნობა წმინდა!

თუ, რაც გვინდა ვთქვათ,  
მნით ვერა ვთქვათ,  
თვალეებს გადავცეთ, მათ ვათქმევინოთ  
და, რასაც გული,  
აღვლევებულო  
გრძნობს, ერთმანერთსა ვავაგებინოთ;

და თუ სოფელი,  
 დაუნდობელი,  
 ზვიმტყუნ-გვიმუხთლებს, არ შეგვიბრალებს,  
 მრთი მეორეს  
 ჩვენ დაგვაშორებს,  
 წმინდა სიყვარულს არ შეიწყნარებს,—

მაშინ გონებით,  
 შიქრით, ოცნებით,  
 ზულით და სულით შევერთდეთ ჩვენა  
 და შთაგონებით,  
 თუმც შორს ვიქნებით,  
 ვიგრძნოთ ურთერთის ჭირი და ლხე ა!

ვიცი, გიყვარვარ,  
 იცი, მიყვარხარ—  
 და მეტი, სატრფოვ, ჩვენ რაღა გვინდა?  
 ვიყოთ, ვიხაროთ  
 და ვინეტაროთ,  
 ვზარდოთ ჩვენს გულში ეს გრძნობა წმინდა!..



## გაზაფხულის მზე.ს.



ალამი, გაზაფხულის მზევ!  
თოვლ-ყინვის გამქარვებელო,  
ზამთრიო დაჩაგრულ ბუნების  
ხელახლავ გამცოცხლებელო:  
სულიერთა და უსულოთ,  
მანეტარ-მამებელო,  
ბაქირვებულთა ნუგეშო,  
მუშაკთა გამხნეებელო!..



\*  
\* \*



ემი ზღვის ტალღებს აპობს, მიცურავს,  
შუახლოვდები თან-და-თან მამულს...  
და რად ვარ ასე დაღონებული,  
რად ჩვეულებრივს არ ვგრძობ სიხა-  
რულს?!

წინად არ იყო, ქავკასიის ქედს  
 ღაინახავდა თუ არა თვალი,  
 ზული სიამით მიწყებდა ძგერას  
 და მიფრთოვნებდა სულს რაღაც ძალი?

მაშ ახლა რაა?.. რა ფიქრებია,  
 თავს რომ მეხვევა აზვირთებული?  
 ან ეს მგზავრობა წინანდელთაგან  
 რითია ასე განსხვავებული?..

— იმით, რომ მაშინ მხოლოდ დროებით,  
 უცხო ბუნებას ვერ შეჩვეული,  
 ვეშურებოდი სამშობლოსაკენ,  
 ვით მკურნალისკენ სუსტი, სნეული!

ღღეს-კი მივდივარ იქ სამუდამოდ  
 და, აი, როცა ვუყურებ იმ მთებს,  
 ასე მგონია, მათზე დაწერილს,  
 ცეცხლებრ ანთებულს, ვხედავ ამ სიტყვებს:

„აბა, შენ იცი, ვით გადაუხდი  
 სამაგიეროს შენსა მამულსა,  
 რა სამსახურსა გაუწევ ბედკრულს,  
 რა წამალს დასდებ მის მრავალს წყლულსა?..“

და მეც, ბრძოლის წინ ვით მეომარი,  
 შუთქრდები ჩემს მოვალეობას  
 და დედას ლვთისას, რომ ვუშველო რამ  
 მის ხვედრს ჩემს მამულს, ვთხოვ შემწეობას!



\*  
 \* \*

**მ**რთი მილოცავს: გაკეთებულხარ,  
 თვითონ დიდ ჰ-ს ებრალებიო  
 და რალა გინდა?.. მისი წყალობით  
 წინ წახვალ, კაცი შეიქნებიო.

სხვა მეუბნება: ბედნიერი ხარ,  
 თვით ლამაზ ჰ-ს შეუყვარდიო  
 და რალა გინდა?.. დასტკბი ცხოვრებით,  
 ძრიფე და კრიფე ია-ვარდიო!

ბევრისგან მესმის: ნეტა შენ, ძმაო,  
 შველა შენ სახელს გაიძახისო  
 და რალა გინდა?.. ქება-დიდება,  
 პატივისცემა შენი არისო.

მე-კი უნდა ვთქვა, რომ სიბრალოელი,  
სიყვარული და ქება-დიდება  
ჩემთვის საჭირო სულაც არ არის,  
მე თანაგრძნობა მხოლოდ მჭირდება!..



\*  
\* \*



მობენ: შეგვაწუხაო  
ამდენმა მოთქმა-ტირილმა...  
საკვირველია!.. მაშ, რა ქნას,  
იცინოს მამულისშვილმა,

რომელმაც იცის, რომ მტრისგან  
ვერ დაძლეული სამშობლო  
მისვე შვილთ პირუმტკიცობამ  
ღალუბა, მოულო ბოლო?

რომელიც ხედავს, რომ ახლაც,  
ვინც მიაჩნია მხსნელად ერს,  
შურით და მტრობით აღესილნი,  
მხოლოდ ებრძვიან ერთმანერთს.

ღა რომელიც გრძნობს, რომ თავის  
 ანხანაგებშიც მოლორდა:  
 საქმის დაწყების უმაღვე  
 შევლამ უმტყუნა, მოშორდა?!.

არა, დე, სხვებმა იცინონ,  
 შეამკონ ღვინო, ქალები,  
 მე-კი ვიტირებ, სანამღის  
 ტირილს შესძლებენ თვალები.

ან სანამ ჩემის ცრემლითა  
 არ მოვრწყავ მთელ ჩემ ქვეყანას  
 ღა არ გამოვალდებინებ  
 ნაყოფს, რომ მინდა მისთანას!



## ჩემი სიყვარული.



ო, მეც მიყვარს,  
მაგრამ სხვისას

არ გავს ესე სიყვარული:  
სულ სხვა გვარის  
ბრძნობით აჩის

ჩემი გული გამსქვალული!

\*

ის როდი მსურს,  
რომ ჩემს მიჯნურს  
მე ვახსოვდე ერთათ ერთი,  
ქერპად მთვლიდეს,  
ღაავიწყდეს  
ძირს ქვეყანა, მალლა ღმერთი.

მაშ რა მინდა?  
 — აზრი წმინდა,  
 მიზანი რომ გვეჩონდეს ერთი,  
 რომ ერთ საგანს  
 ვსცემდეთ თაყვანს,  
 იყოს ჩვენი შემაერთი.

\*

შე მას ვსური,  
 სამსახური  
 მხოლოდ მისი ჩვენს სულს და გულს  
 აღფრთოვნებდეს!..  
 ამტკიცებდეს  
 საუკუნოდ ჩვენს სიყვარულს.

\*

ჰო, მეც მიყვარს,  
 მაგრამ სხვისას  
 არ გავს ესე სიყვარული:  
 სულ სხვა გვარის  
 ზრძნობით არის  
 ჩემი გული გამსჭვალული!



1894 𐌺.



## ს ა მ ი ხ მ ა .



აშინ, როდესაც მწარე ხვედრთან ბრძო-  
ლით დაქანცულს,  
თვალწინ მიდგება მთელი ჩემი აწმყო,  
წარსული

და ჩემს ძალღონეს უნაყოფოდ ვხედავ დაკარგულს,  
ჩაღაც უცნაურ ხმებსა ვისმენ სულით ტანჯული!  
და მეუბნება პირველი ხმა: „დროა, დაყარო  
იარალი და დამორჩილდე შენს ბედის-წერას!;  
თუნდაც წვეთ-წვეთად მთელი შენისისხლი დაღვარო,  
ხომ ხედავ, მაინც უძღური ხარ, გახდები ვერას?“  
მეორე ამბობს: „მით ირჩევი პირუტყვისაგან,  
რომ, თუ არა ხარ შენის ხვედრის შენ კმაყოფილი,  
ძალგიძს მოკვდე და იხსნა თავი სიცოცხლისაგან:  
თავის მოკვლა სჯობს მას, რომ იყო ბედის მორჩილი!“  
მესამე ხმა-კი მეუბნება, რომ არ ვინდოჰო  
ქრც პირველი და არც მეორე რჩევა საზარი,



შემოვიკრიბო კვლავ ძალ-ლონე, ვიბრძოლ-ვიომო  
 და ბოლომდისინ გამოვცალო ფიალა მწარი.  
 დიდება მხოლოდ მას ელისო, ის აღარ კვდება,  
 შინც თვის სისხლისგან უმზადებს ერს წყლულთა  
 მალამოს,

ვისაც არაფრად მიაჩნია ტანჯვა-წვალება,  
 ოღონდ ტკივილი მას დაუცხროს და დაუამოს!  
 მაშ, შენც იტანჯე, მოსწმინდეო ჩაგრულთ ცრემლები  
 და შეიქმნები უკვდავიო და დიდებული!...  
 და მეცა, სულით დაცემული, ისევ ვმადლდები  
 და საბრძოლველად ისევ მზად ვარ გამხნეებულნი!..


გ. ნინოშვილს.

(† 29 აპრილს 1894 წელს).



უყველასაგან უარყოფილი  
და ცხოვრებისგან მწარედ დასჯილი,  
მხოლოდ ჩაგრულთა მუხამ შეგიტკბო  
და შეგიყვარა, ვით დედამ შვილი!  
და შენც მთლად შენი სუსტი ძაღლონე  
შესწირე მხოლოდ მის სამსახურსა:  
პრად აგდებდი არც ძლიერთ რისხვას,  
პრცა უგუნურთ მტრობას და შურსა!  
დიდხანს იბრძოლე და, ჰა, სიკვდილმა  
ბძლია სნეული, მოგიღო ბოლო,  
მაგრამ ნეტარ ხარ, რადგან შენს სახელს  
არ დაივიწყებს შენი სამშობლო!..

3 მაისი.





იცი, მუზავ, ვიცი, მარტო  
შენ გეკუთვნის ჩემი გული;  
შენით სკოცხლობს და სულდგმულობს  
წმინდა გრძნობით აღვზნებული.

მაგრამ ქართველს სხვას ვის ერგო  
ჯერ ის ბედი სანატრელი,  
რომ ცხოვრების მიზნად ქონდეს  
მას საგანი საყვარელი?..

ვიცი, მუზავ, ვიცი, მარტო  
შენ გეკუთვნის ჩემი გული;  
მაგრამ ვაი, რომ ჩვენ შორის  
ქედელია ამართული!..

---

## ღედის ლოცვა.



ინავს ყველას... მხოლოდ ერთ ქალს  
ჯერ არ ძინავს შავით მოსილს;  
ღაჩოქილი დგას ხატის წინ  
ღა ავედრებს სხვაგან მყოფ შვილს:

„ღმერთო, ღმერთო“! ლოცულობს ის—  
„საწყალ ობოლს უპატრონე;  
რომ ისწავლოს, განვითარდეს  
მეც ნიჭი და ძალღონე!

„ღედის ერთა, ერთათ-ერთი  
ნუგეშია და იმედი,  
მას შევსწირე სრულად ჩემი  
სიყმაწვილე, ჩემი ბედი;

„მით ვცოცხლობდი, ვსულდგმულობდი,  
სულს და გულს მას ვაყოლებდი;  
არ მეგონა, თუ ერთ წამსაც.  
შიშისით მე გავძლებდი.

„ჭაგრამ, აი, მოვიდა დრო,  
ჩემთვის მწარე და თან ტკბილი,  
როცა უნდა მოუმზადოს  
სამშობლოსა დედამ შვილი...“

„ღა გულიდან მოვიგლოჯე  
სიამ-ნალვლით უბედური  
ღა გავგზავნე, რომ ისწავლოს  
მან მამულის სამსახური!“

„ღმერთო, ღმერთო, გვეედრები,  
ზამიზარდე სასახელო,  
რომ მით ერთად ვამაყობდეთ  
მე და მთელი საქართველო;“

„რომ ძლიერი, გმირთა-გმირი,  
ღირსი შვილი მამულისა,  
ის მჩაგვრელის რისხვა იყოს  
ღა ნუგეში ჩაგრულისა!..“

ასე ღმერთსა მთელი ღამე  
ცრემლის ფრქვევით ევედრება...  
ღმერთო, ღმერთო, შეუსმინე  
ძართველ დედას ეს ვედრება!





აუ, ასე, ჩემო სამშობლოვ,  
უნდა მოგშორდე, ეს არი,  
და სხვაგან გადავიხვეწო,  
მარადის უენტვის მკვნესარი?!

მშვიდობით!.. მაგრამ განა მე  
მარტო ხორციტ არ გშორდები?  
შექრით, გრძნობით და გონებით  
ისევ უენტან არ ვიქნები?

ზანა, თუნდ ცხრა მთას გადაღმაც,  
ვერ ვიგრძნობ უენტსა ტკივილსა,  
ვერ გავიგონებ უენტს ოხვრას,  
მოთქმას, ტირილს და ჩივილსა?—

ბი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო,  
მეყო, რაც სხვაგან ვიყავი;  
ბულით მინდოდა, აწ მაინც  
სულ უენტან ვყოფილვყავი,

რომ შენთვის შემომეწირა  
მთლად ჩემი ღონე და ძალა,  
მოყვარე მეხარებია,  
მტრისთვის მესმია სამსალა;

მინდოდა, მაგრამ, ვაი, რომ  
პრ შემისრულდა სურვილი  
და გულშივ უნდა ჩავიკლა  
ჯერ ხანად ჩემი წყურვილი!..

\*  
\* \*

**მ**ინდა ვთქვა რამე, პირ-აკრული ვარ;  
მინდა გავინძრე, აღარ მაქვს ძალა;  
მინდა ვკნესოდე, ხმა ჩამწყვეტია;  
მინდა ვსტიროდე, ცრემლი გამშრალა!

ზრძნობა-გონება-კი სუსტს და უძლურს  
უფრო და უფრო მიცხოველდება  
და ვერც ერთ სურვილს რომ ვერ ვისრულებ  
ბული ნელ-ნელა შხაპით მევსება!..

მკ, ბარემ მალე გაივსე, გულო,  
ზადმოდანთხიე ეგ საწამლავი  
და მით მოშხამე ძალა ბოროტი,  
შოველ კეთილის ქვეყნად მჩაგრავი!!

**ა**ქვე გამიტყდა, ნიჩაბი  
 ხელიდან გამომეცალა;  
 მხედავ თანდათან ვსუსტდები  
 და მეკარგება მე ძალა.

პატარა კიდევ და, ვაი,  
 შერც-კო შვეიძლემ ბრძოლასა  
 და ჩემი ნავი დაიწყებს  
 უგზო-უკვალოდ ქროლასა;  
 მშფოთავ ტალღების და ქარის  
 სათამაშოდ იქცევა,  
 უფსკრულში ჩაილუპება,  
 ან კლდეზე გადაიმსხვრევა!..

\*

ხან ცას შევყურებ ვედრებით,  
 ხან ადამიანთ ვეძახი,  
 მაგრამ ყრუ არის .ზევით ცა  
 და უგულოა ქვეშ ხალხი!  
 ჩემთვის არავის სცალია  
 თავის საქმე აქვს ყველასა;  
 სხვა ვინ დაიხსნეს აბა მათ,  
 რომ მე ველოდე შეველასა?

ისიც კარგია, თუ მათში  
 არ ურევია იუდა,  
 რომელიც არამც თუ იხსნის,  
 მალე დაღუპოს, ის უნდა!..

\*

მთლად დავუძლიურდი, თავს ძლივს-ღა  
 ვიმაგრებ ღონე მიხდილი;  
 ვგრძნობ, დიდხანს ველარ გავატან,  
 მიახლოვდება სიკვდილი!

მკ, ჩუ თუ ასე უდროოდ  
 უნდა მომეღოს მე ბოლო!  
 ველარ მოვიკრებ კვლავ ძალას,  
 რომ მწარე ხვედრსა ვებრძოლო?

ნუ თუ საყვარელს მამულში  
 მკვდარიც ვერ დავიშარხები,  
 მხრად ჩავლპები აქ სადმე,  
 ან მხეცთა სარჩოდ გავხდები?..

\*

მკ, ტყუილია, ტყუილი  
 ძენესა და მოთქმა-ჩივილი;  
 მეგებ ზოგს კიდევ ახარებს  
 მს ჩემი გულის ტკივილი!..

მაგრამ მყავს კიდევ შე ერთი  
 ამხანაგი და ერთ-გული,

ბევრჯერ ვუხსნივარ და ახლაც  
მას მივენდობი ბედკრული.

იგია... ჩემი მერანი,  
ჩემთანა მყოფი მარადის;  
არც კლდე-ღრეს, არც წყალს, არც სიციხეს,  
არც ავდარს აგდებს არად ის!..

\*

აბა, ჰე, ჩემო მერანო,  
ზააპე ეს ზღვა საზარი,  
მთლად გადალახე ეს კლდე-ღრე,  
ზადაიარე მთა-ბარი...

შენ იცი, ჩემო ძვირფასო,  
მკვდარს მაინც თუ არ დამკარგავ,  
ჩემს სამშობლოში ჩამტან  
და მის მიწაზე დამმარხავ!

ღაე, იქ ჩემი საფლავი  
ღარაჯად უდგეს მამულსა,  
შძლოურსა ძალას მატებდეს  
და ამხნევებდეს ჩაგრულსა!..



## ს ი ნ ა ნ უ ლ ი .



ინანდელები აღარ მშობ

და აღარ მტკივა;

მაგრამ სული უფრო მიწუხს

და გული მტკივა!

ღმერთო ჩემო, რად ვეძებდი

მაშ ამ ცხოვრებას,

თუ მშვიდობას სულს ვერ მიცემს

და გულსა შვებას?

თუ სხეულის წინად ტანჯვა

მარადის მშვიერს

თვის სიმწვავეთ მივიწყება

ტანჯვას სულიერს,

აწ ხორცისათვის როს აღარ მაქვს

მე საზრუნავი,

ზაცხოველდა, გაძლიერდა

ნალველი მწვავე!

ძი არ მათობს, მჩხვლეტს და მსუსხავს  
 ეს ტანთ-საქმელი  
 და ძიმწარეთ მეჩვენება  
 ტკბილი საქმელი!..

ლმერთო ჩემო, რად მინდოდა  
 მაშ ეს ცხოვრება,  
 თუ მელოდა უარესი  
 ტანჯვა-წვალება;

თუ ერთ წამსაც მოსვენება  
 არ მექნებოდა,

თუ სიცოცხლე გოგოხეთად  
 ზადმექმნებოდა?..



## პოეზია.

(მუძღენი აკაკის).



წვის პატრუქი და ღნება  
თანდათან წმინდა სანთელი  
და თანტავს წყვლიადს გარშემო  
ძღვეა მოსილი ნათელი;

მაგრამ, ვაი, რომ, რაც უფრო  
სანთელი ცხოვლობდა იწვის  
და მეტად აშუქ-ანათებს,  
იმდენად მალე დაიწვის!

შენც სანთელი ხარ, პოეტო,  
მასავით იწვის და ღნება  
მე შენი გულიც და ბნელი  
ზარშემო მყის იფანტება;

და შენც რაც უფრო ძლიერად  
ამ სიბნელესთან იბრძობებ  
და მეტს სინათლეს მიმოფენ,  
იმდენად ღღესა იმოკლებ!..





ვლავ მარტო ვიხდი ღღეობას,  
სამშობლოს მოშორებული,  
ჩანგურს ვაკვნესებ მწარედა  
და ვმღერი დაღონებული:

„წელი წელს მიდევს, თან მიაქვს  
ჩემი სიცოცხლის ძაღაო;  
არც კი გავსილა ფიალა  
და კიდევ დაიცაღაო!

„რომ სიკაბუკე ვერ იგრძნო  
ისე მოხუცდა გულიო;  
ძარღვებში სისხლი შეჩერდა,  
შდროვოდ გაყინულიო.

„არც ცოცხალს ვგავარ, არც მკვდარსა,  
სულითა დაცემულიო;  
არც ამ სოფლის ვარ, არც იმის,  
შველასთვის დაკარგულიო!..

„მაი, მის ყოფნას, ვის უკვე  
 ზაქევეებია გულიო;  
 არ ძალუძს არც სიძულვილი  
 და აღარც სიყვარულიო!“

„წელი წელს მიღევს სისწრაფით,  
 მიაქვს სიცოცხლის ძალო;  
 არც კი გავსილა ფიალა  
 და კიდევ დაიცალო!“

### ოლთისის ციხეს.



ით მგლოვიარე მიჯნურსა  
 იზიდავს სატრფოს სამარე,  
 რომ მოგონებით წარსულის  
 დაიტკბოს აწმყო მან მწარე;

აგრეთვე აქ გადმოტყორცნილს,  
 მოკლებულს მშობელ მხარესა,  
 ძეგლო ძველ საქართველოსავ,  
 იზიდავ სულს მწუხარესა!

როს უცხოთ შორის, მარტოდ მყოფს,  
 ბულ სევდა შემობაწევბა,  
 რომ, მცირედ არის მაინცა,  
 შივცე საბრალო თავს უვება,

შოვრბავარ... უენს ნანგრევებზე  
 შისვენებ დაღონებული  
 და დროთ სივრცეში მიმოვფრენ  
 მცნებით გატაცებული!

შიგონებ იმ დროს, როდესაც  
 უენ იდექ მტკიცე, ძლიერი  
 და უენში მედგრათ ხვდებოდა  
 შოსულს მტერს ქართველი ერი;

და შორს, შორს ძვირფას მამულში  
 შიმაფრენს ეს შოგონება  
 და გული მიძგერს სიამით,  
 სანამ არ ქრება ოცნება!..



## ს ა მ შ ო ბ ლ ო ს .



ემო სამშობლოვ, რისთვის მიყვარხარ,  
რათ მოქრის შენკენ ჩემი გონება,  
მარადის თვალწინ რისთვის მიდგახარ  
და შენზე ფიქრი რათ არ მშორდება?!

მისთვის ხომ არა, რომ მახსოვს ჩემი  
სახლი და კარი, მამულ-დედული,  
მამა-პაპათგან გადმონაცემი,  
შპატრონოთა მიტოვებული?

ან ეგებ მისთვის, რომ მაგონდება  
ტკბილი დრო შენში გატარებული,  
მრავლათ ნაგრძნობი სიამოვნება—  
ჩემი ბოვშობა გახარებული?

*სახლი*

და ან ეგების მისთვის, რომ ვინმე  
შენში ძვირფასი დამრჩა არსება,  
ვისაც ვუყვარვარ წმინდა გრძნობით მე  
და ვისთან ყოფნაც სულს ენატრება?..

არა და არა!.. არავითარი  
 არ მაქვს ქონება დასაწყობებულსა  
 ადგილ-მამული, სახლი და კარი  
 არ აკავშირებს შენთან ჩემ გულსა;

არ მაგონდება არც ტკბილი წამი,  
 სხვის კარზე გაზრდილს, ლუკმის ნატრულსა,  
 ტანჯვა-წვალება, ნალველი, შხამი  
 აკვნითვე დამყვენ ბედით ჩაგრულსა;

და სიყვარულიც არ თუ მრგებია,  
 მარად მდევნიდა შური და მტრობა  
 და არასოდეს არ მღირსებია  
 მეგობრის ხელი და თანაგრძნობა!..

მაშ, რათ მიყვარხარ და რა იზიდავს  
 შენკენ, სამშობლოვ, სულსა და გულსა?  
 რა მარჩვენებს შენში ტირილს მწვავს  
 სხვაგან სიამეს და სიხარულსა?..

— რა და სამოთხებრ შექცულ ბუნების  
 სიღიადე და შევნიერება:  
 ზეცას მიბჯენილ თოვლიან მკაების  
 დიდებულება და ძლიერება;

ძლდეთაგან მომქუხ ანკარა წყლების  
 შეუპოვარი სრბოლა და დენა;  
 ათას ნაირი უცხო ფრინველების  
 მომჯადოები გალობა-სტვენა;

ხეობების და ქალა-მინდვრების  
 სინაზ-სიტურფე დამატკობელი,  
 ჰაერს შერეულ ვარდ-ყვავილების  
 სუნნელოვნება დამათრობელი!

ციხე და ტაძართ ნაშთნი ნგრეულნი,  
 სამაგალითო ბრძოლათ ველები,  
 მამულის-შვილთა სისხლით მორწყულნი  
 და მათი ძვლებით მოკენქილები!

და თვით ტანჯული ჭართველი ერი,  
 ათას ქირისგან გაუტეხელი;  
 შენებრ ლამაზი და შკენიერი,  
 შენებრ დიადი და უძლეველი;

იმისი ენა და სიმღერები,  
 ხან გულ-ამოსკვნით მწარე ქვითონი,  
 ხან სიმამაცით აღსავსე ხმები  
 და ხან მომგვრელი გრძნობის ღიღინი;

სახელოვანი მისი წარსული,  
სიმხნე, გმირობა და ვაჟკაცობა,  
სამშობლოსათვის თავვანწირული  
ბრძოლა უწყვეტი და მამაცობა.

ღა მისი აწმყო... და ის სურვილი,  
რომ სენით პერობილს რამ ვუმკურნალო:  
ბამოვაფხიზლო, დაუფრთხო ძილი  
ღა მომავლისკენ გზა გავუკვალო,

რომ სიკვდილს შემდეგ შეეძლოს ჩემს სულს  
წინაპართ შეხვდეს იქ პირნათელი  
ღა, ვით მამულის-შვილსა ღირსეულს,  
ბქაც კეაილი დამრჩეს სახელი...



1895 7.



მარა, მუზავ, კმარა ცრემლი და მოთქმა,  
 მწუხარების მხოლოთ ენით გამოთქმა!  
 ღროა, ვიპყროთ ხელთ ნალარა და ბუკი,  
 სამოქმედოთ აღეძრათ მოხუც-ჭაბუკი.

თვარა მარტო ტირილი და წუწუნნი  
 არას გვარგებს, არ გაქრება უკუნი,  
 რომელიც კარს მკიდროთ შემოგვხვევია  
 და თავისი დალი დაუჩნევია!..  
 კმარა, მუზავ, კმარა მოთქმა, ცრემლები,  
 საჭიროა, გავანძრიოთ ხელები:  
 ვამცნოთ ყველას, რომ არა ვართ სულ მკვდარი,  
 რომ ტყუილათ შემოგვარტყეს სუდარი!..





აბუკნი ერთის აზრით იყვენ გატაცებულნი,  
 იმედი ქონდათ, დაიწყებდენ ახალსა ხანას,  
 მამულისათვის მხნეთ მეგრძოლნი, თავდა-  
 დებულნი,  
 ზაკვირვებდენ თავის საქმით მთელსა ქვეყანას!

მაგრამ, ცხოვრებამ გამოსვლაც-კი მათ არ აცალა:  
 მიფანტ-მოფანტა, დაუბნია თავი და ტანი,—  
 ღა, თითოეულს აგრძნობინა რა თვისი ძალა,  
 სწრაფ დაავიწყა დანიშნული წმინდა საგანი!

ღღეს ზოგს თავდაღმა მიაქანებს ტალღა ცხოვრების,  
 ზოგიც ნაპირზე გარჩენილა და გარიყულა,  
 ზოგს-კი სურვილი კიდევ დარჩა თუმც მოქმედების,  
 მაგრამ ვერც ერთი სამოქმედოთ ვერ გამოსულა.

ღა კარიელი არის ისევ ბრძოლისა ველი:  
 შერსად ვერ ხედავთ მამულისშვილს ძლიერს და მხნესა!  
 მხოლოდ ხან-და-ხან გაისმის იქ გულის დამწველი,  
 მით ქირისუფლის, მგონის მწარე მოთქმა და კვნესა!





უ ვინმე ბედი ინატროს,  
 მგოსანო, შენისთანაო:  
 ხან ნექტარია და თათლი,  
 ხან შხამი შენი სანაჲო!

ხან ჯოჯობეთურ ტანჯვას გრძნობ,  
 ხან ხამოთხებრივ ნეტარებ:  
 მკვდარი ხარ, როცა მშვიდდები,  
 ცოცხალი, როცა მღელვარებ.

შენი სიმღერა—კვნესაა,  
 ტირილი—შენი სიცილი;  
 ტკბილია შენი ცრემლები  
 და მწარე შენი ლიმილი.

დაგვიწყებია პირადი  
 ბედი და უბედურება:  
 შენი ღვთიური ჩანგური  
 სხვა საგანს ემსახურება!

ცასა და ქვეყანას 'შუა  
 ის მტკიცე კავშირს ამყარებს...  
 სხვის ჭირით შეწუხებულსა  
 მხოლოდ სხვის ლხინით გახარებს;

შიწვევს, ებრძოლო ბოროტსა,  
 ბნელსა მოთინო ნათელთა;  
 სხვებს გაუნათო; თვინონ-ვი,  
 ღაიწვა, როგორც სანთელი!

მაგრამ, ვაი, რომ უკეთურთ  
 მოუჩენიათ მცველები  
 და აუშართათ მაღალი  
 შენს გარეშემო კედლები;

და ხალხი ცდის რომ თაყვანს გცემს—  
 „ოსანნა“-ს შენ გიგალობენ,  
 ხვალ მზათ არიან, ჯვარს გატყვან,  
 მკლბის გვირგვინით გამკობენ!

თუ ვინმე ბედი ინატროს,  
 მგოსანო, შენისთანაო:  
 ხან ნექტარია და თაფლი,  
 ხან შხამი შენი სანაფო!



ავო დრუბლებო,  
საძაგელებო,  
შეგშურდათ განა,  
რომ ეს ქვეყანა

პრის მდიდარი—

სამოთხის დარი,

და არ ეხსნებით, თავს დასტრიალებთ,  
მაცოცხლებელსა მზის სხივებს აკლებთ?

მაგრამ, წყეულნო,

შეჩვენებულნო,

ამოვარდება ერთხელაც ქარი,

თავს დაგეცემათ რისხვისა ზარი,

ბაიფანტებით, ვით ბუმბულთ გროვა,

და ამ ქვეყნის მზე ისევ ამოვა!

\*

ოჰ, ქარო, მალე

დაიგრიალე

და აქ მთა-ბარი

სრულად შესძარი,

იქ-კი წყეულებს,  
 შეჩვენებულებს,  
 ქვეთე ღრუბლებს თავ-გასულებსა,  
 ცაზე შავ-ბნელათ გადაკრულებსა—  
 და მოგვაშორე,  
 ბათანტე შორე,—  
 რომ კვლავ ვიხილოთ ჩვენ მზე და მთვარე,  
 ქვლავ აღორძინდეს ეს ტურთა მხარე,  
 სიცოცხლე სდუნდეს, გადმოდიოდეს,  
 და ჩვენც კვლავ გული აღარ გვტკიოდეს!..

\* \*  
 \*



უ, ნუ ატირებ პაწაწას  
 და ცხარ კრემლს ნუ აღვრევინებთ,  
 ამ ძვირუას კაცის საუნჯეს,  
 ტყუილად ნუ აკარგვინებთ!

მოვა დრო, როცა საბრალო  
 იგრძნობს ცხოვრების სიმწარეს,  
 როცა ტკბილ დედის რძის ნაცვლად  
 იგემებს შხამს და ძიმწარეს;

როდესაც ვერც ერთ თვის სურვილს  
 ვერ პოებს აღსრულებულსა  
 და გულ-გატეხილს, უწმუნოს,  
 უღონოს, დასუსტებულსა,

საზარი სევდა შეიპყრობს,  
 სიცოცხლე გაუჭირდება,  
 და, აი, მაშინ ეს კრემლი  
 მისთვის საჭირო იქნება,

რომ მასთან ერთად მწამლავი  
 ბადშოანთხიოს სამსალა  
 და სასიცოცხლოთ, საბრძოლად  
 შემოიკრიბოს კვლავ ძალა!

მაშ, ნუ ატირებთ, ნუ ბავშსა  
 და ცხარ კრემლს ნუ აფრქვევენებთ,  
 ამ ძვირფას კაცის საუნჯეს  
 ტყუილად ნუ აკარგვენებთ!



## დედა და შვილი.



ა ხანია, არ უნახავს  
დედას ერთად ერთი შვილი  
რა ხანია არ სმენია  
საუბარი მისი ტკბილი;

რა ხანია არ ჩაუკრავს  
ბულოში სახე საყვარელი,  
რა ხანია, არ უგრძენია  
ძუძუებზე მისი ხელი!..

„მაჰ, თუ, შვილო, გიჰირს რამე:  
ავადა ხარ ან იყავი,  
მე-კი შორს ვარ და არ ვიცი...  
მჰ, მოგიკვდა ჩემი თავი!

„მაჰ, თუ გშია და გწყურია  
ცივი გხვდება შენ ნიავი,  
მე-კი შორს ვარ და ვერა ვგრძნობ...  
მჰ, მოგიკვდა ჩემი თავი!

„ვაჰ, თუ მარტო გდინხარ საღმე  
 მოჩვენება გაფრთხობს ავი,  
 მე-კი შორს ვარ და ვერ გშველი...  
 ოჰ, მოგიკვდა ჩემი თავი“.

ანაირად მოსთქვამს დედა,  
 როცა შვილის ბედი მწარე  
 აგონდება და თვალთაგან  
 სდის, წყაროსებრ, ცრემლი ცხარე...

მაგრამ, სევდას გულშივ იკლავს,  
 ზამსქვალული ტკბილ გრძნობებით,  
 საყვარელ შვილს წერილსა სწერს  
 და ამხნეებს ამ სიტყვებით:

„თვალის ჩინო, ჩემო შვილო,  
 დედა შენი გენაცვალოს!  
 აბა, ჰე, თუ კაი სწავლით  
 მამახარებ მე საბრალოს!“

ღმერთი მრავალ მოწყალეა:  
 ჩემ სიჭვრივეს, შენს სიობლეს  
 შეიწყალებს და მოვა დრო,  
 მელირსებით ტკბილ სიცოცხლეს!

„მაშ, გამხნევი, გასალკლდევი,  
ჩაისახე გულს იმედი:  
ნუ შედრკები, შეშინდები,  
ზანგირისხდეს რა გინდ ბედი,

„ღა ერთათ ერთ მიზნათ გქონდეს,  
ზაიზარდო სასახელო,  
რომ შენით თავს ვიწონებდეთ  
მე და მთელი საქართველო!“

„შვილიც სწავლობს... უნდა დედის  
იქედი არ გააცრუოს...  
ღმერთო, მიეც მას ძალ-ლონე,  
რომ სურვილი აისრულოს!..“



ეცუტრებ ცასა, ვარსკვლავთსრბოლას  
თვალსა ვადევნებ,

მაგრამ ვერ ვხედავ ჯერ იმ ვარსკვლავს,  
რომელსაც ვეძებ.

ნუ თუ ვერც ვნახავ, ნუ თუ მანამ  
ის აღმოხდება,

მედარ აიტანს ტანჯვას სული  
და ამომხდება?

ოჰ, თუ ასეა, თუ მის ხილვას  
შერ მოვესწრები,

შემდეგ თაობათ ფუნდერძებ  
და ვევედრები:

როს პირველ ნახონ ის ჩვენ ცაზე  
ბაბრწყინვებული,

აცნობონ, რომ მე მის ლოდინში  
დავლიე სული!..

1896 𐍆.



არცა აწმყოზე გულ-გატეხილი,  
წარსულის ზიზლით მომგონებელი  
და მოძავალშიც არცა ნუგეშის,  
არცა იმედის არ მქონებელი,—

სიკვდილისაგან მხოლოდ მან მიხსნა,  
რომ ხელთ ავიღე კრძალვით კალამი  
და გადავწყვიტე, ვამცნო ქვეყანას  
დამწყულულებელი სევდა-ვარამი...

და, ჰა, გაისმა ჩემი სუსტი ხმა,  
ბაცოცხლდა გული, ამალღდა სული  
და კვლავ მესტუმრა განახლებულსა  
რწმენა, იმედი და სიყვარული!

მაგრამ, როს ამ დროს შეუბრალებლად  
ღვენა დამიწყო შურმა და მტრობამ,  
ალარ დამინდო და გამიტანა  
არც სიყვარულმა, არც მეგობრობამ

და ვერ შემძლები ბრძოლის განგრძობის  
 ისევ დავეცი და მზად ვიყავი,  
 ან მეცნო თავი დამარცხებულად,  
 ან უსახელოთ მოვმკვდარიყავი,—

მაშინ შენ გაჩნდი ჩემთან უეცრად,  
 თანაგრძნობითა მომეცი ხელი,  
 ძვლავ აღმადგინე, და დამიბრუნე  
 უძლურსა ძალა მაცოცხლებელი!..

მას აქეთია, ვერც ძლიერთ რისხვა,  
 ვერც ავი ენა, გესლ-შხამიანი,  
 ველარას მაკლებს გასალკდევებულს,  
 მარად თვალწინ მაქვს ჩემი მიზანი,

და მაგონდები რა შენ, ღვთიურო,  
 როგორც მოძღვარი და მეგობარი.  
 მარს შემორტყმულ ბნელს და ბოროტებას  
 ვეგრძვი მეც, შენებრ შეუპოვარი!..



არი ქრის, ქარი გრიალებს,  
არ ცხრება განრისხებული:  
ღამხოვის მოლოდინშია  
ქვეყანა შეშინებული.

ზული წუხს, გული მღერვარებს,  
არ ცხრება აღშფოთებული,  
სიკვდილის მოლოდინშია  
მგოსანი დასუსტებული!

მაგრამ, დე, ქარმა იქროლოს, —  
ღრუბლები შეიკრიბება,  
წამოვა წვიმა ჟუჟუნა,  
ქვეყანა კვლავ დამშვიდდება!

დე, იმწუხაროს გულმაცა, —  
ზამწვავედებიან გრძნობანი.  
ზადმოხეთქა ცრემლი მღუღაოე,  
ქვლავ აღფრთოვნდება მგოსანი: —

ღა ამღერდება ციურ ხმით,  
ზეგარდმო მადლით ცხებული,  
ტირთ მძიმეთა და მაშკრალთა  
ნუგეშად მოვლინებული!..



მერო, რას ვხედავ?.. იგივე საზარი  
 ბანხეთქილება მეთაურების,  
 შური, მტერობა და სამსახური  
 მხოლოდ პირადის ინტერესების,

რამაც დაღუბა ჩვენი ქვეყანა,  
 ღააუძლოურა და გახრწნა ერი,  
 რამაც, არ ერთხელ, გამარჯვებული  
 ჩვენზე საშინლად აცინა მტერი!—

ღღესაც გვლუბავს და გვითბრის სამარეს,  
 საზიზღარ სენად გადაქცეული...  
 ის-კი გვაქვებს, ჩვეულებრივად,  
 ჩვენ დასამხოზად გამზადებული!..

მერე რას შერება ახალგაზდობა,  
 ქვეყნის ნუგეში, ქვეყნის იმედი?  
 ნუ თუ მას სულაც აღარ აწუხებს  
 ზირში-მყოფ ძვირფას სამშობლოს ბედი?

— ახალგაზდობა?.. ვაი, სირცხვილო!  
 თავის საკუთარ აზრის არ-მქონე,  
 ბრბოში გართულა და იკარგება  
 სულ უნაყოფოდ მისი ძალ-ღონე...

არც დედა ენა, აღარც მწერლობა,  
 აღარც ტირილი დამწეულ ხალხის  
 მას არ იზიდავს... ზ.....ზე  
 და მ.....ზე ყვირის, იძახის!

სასაცილოა სხვისთვის... ჩვენთვის-კი  
 სამწუხაროა და სატირალი!  
 და ჩვენც ვიტყვით... ვიტყვით, მუხავ,  
 ჩვენი ქვეყნისა მწარე იღბალი!..

## ა. შ.....სას.



იღი ხნის ნაცნობთ შორიდან,  
ბვინდა ახლოსაც გაცნობა,  
რომ თვით გადავცეთ ერთმანერთს  
ჩვენი ფიქრები და გრძნობა;

ბვინდა... მაგრამ ვერ ვახერხებთ:  
ხელს გვიშლის გარემოება,—  
ქანონი რიგიანობის  
ჩვენ სურვილს წინ ელობება.

და ჩვენც, როდესაც შემთხვევა  
შეგვყრის, ფარულად, ქურდივით,  
მხოლოდ შევხედავთ ერთმანერთს  
და უხმოდ, ჩუმად უღიმით...

მაგრამ, ვინ უწყის, რამდენის  
მთქმელია იგი ღიმილი?  
ხშირად ბევრს-სიტყვაობაზე  
უფრო მკვერმეტყველობს ღუმილი!

## ტყვის მოთქმა.



ათ მინდა თვალი, თუ ველარ ვნახავ  
ჩემის ქვეყნისა ტურთა ბუნებას?

ღე, დავბრმავდე და გადავრჩე ბარემ  
ამ უსიცოცხლო კლდეთა ყურებას!..

რათ მინდა ყური, თუ ველარ ვისმენ,  
დამატკობელსა სამშობლო ენას?

ღე, დავყრუვდე და გადავრჩე ბარემ  
ამ ეშმაკურის ხმების მოსმენას!

რათ მინდა ენა, თუ ვერ გამოვთქვამ  
ჩემის ტანჯულის სულის კვეთებას?

ღე, დავმუნჯდე და გადავრჩე ბარემ  
ამ მტარვალების პირში ფერებას!..

რათ მინდა, მქონდეს ხელ-ფეხში ღონე,  
 თუ ვერ შევიძლებ მათ მოხმარებას?  
 დე, დავსაპყრდე და გადავრჩე ბარემ  
 ამ ბორკილების მარად ტარებას!..

რათ მინდა, რათა, ვიყო ცოცხალი,  
 თუ ვერ დავალწევ თავსა მონებას?  
 მაშ, დე, მოვკვდე და გადავრჩე ბარემ  
 ამ პირუტყვის მზგავს საზიზღ ცხოვრებას!..



ზაზე მყოფ წუმბე-ტალახის  
მზგავსია ცილი და შური!—  
იმათ წინ შეჩერდება ის,  
ვინც არის სულ უსაქმური;  
და ის-კი, ვინც დროს აფასებს,  
საქმეზე მიეჩქარება,  
მათ უცვებ გადააბიჯებს,  
ზასვრას არ მოერიდება!

## უღარიბი დაბეძობული.



მულს არ ვიტყვდი... ჯერ კიდევ  
მეკუთვებოდა წინ ბედი;  
მეგონა, ბავშვი ვაყავი,  
მასულდგმულებდა იმედი,

რომ მოვიღოდა ჩემი დროც,  
ჩემთვისაც გათენდებოდა  
და მივალწევდი ყველაფერს,  
რაც მსურდა, მენატრებოდა...

ღღეს-კი რას ვხედავ. . . ოჰ, ღმერთო!  
ჭალარა გამომრევია,  
სიბებრეს თავში ჩაუკრავს,  
ბანჯვის დრო დაუძლევია!

და, თუმც ცხოვრების წვერამდე,  
 შუა გზაც ვერ გავიარე,  
 უკვე, დაშვებულს თავდაღმა,  
 მიმელის შავი სამარე!..

საშინელია სიბერე,  
 როს ჭაბუკია ჯერ სული,  
 და საბრალოა, საბრალო...  
 უდროოდ დაბერებული!



რბელიანის სამხატვრო ნიჭი  
 არ მოუცია ჩემთვის განგებას:  
 ვერ ავწერ, მისებრ, მე საქართველოს  
 სიღიადეს და შევნიერებას!

არც მომხადელია ბარათაშვილის  
 ტიტანიური „სულის კვეთება“  
 იმის „ზღვა გულის“ საშინელს „კვენესას“  
 ჩემი ტირილა ვერ შეედრება;

არც, აკაკისებრ, აზრის ჩამოსხმის  
 და ლამაზად თქმის მაქვს მე უნარი,—  
 მის „სუბუქ ფრთითა აღმაფრენ“ ლექსთან  
 ჩემი ლექსია დასაწუნარი!

მაგრამ, რა ვუყოთ?.. განა ბნელაში  
 უბრალო კრაქიც არ სწევს საწთლობას?  
 ბანა იმისი ოდნავ მბეჭუტავი  
 სინათლე არ სჯობს სულ არაობას?!

მეც იმ კრაქს ვგავარ!..  
 და, თუმც არა ვარ  
 ზეგარდმო მადლით უხვად ცხებული,  
 ბარს შემორტყმულ ბნელს  
 ვჟუნ მცირე ნათელს,  
 მინდა გრძნობითა აღფრთოვნებული!...

